ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
N9

ქ. თბილისი; 26 დეკემბერი, 2017 წ. 13:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
ავთანდილ ცინცაძე
დავით ჭელიძე
თინათინ ნიბლოშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ლილე ლიპარტელიანი
ელენე ოზაშვილი

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი/უფროსის მოადგილე - **გაიოზ თალაკვაძე/ლევან მიქავა**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი - **სერგო ბირკაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენლები - **მარიამ ჩივაძე/ნათია ვერძაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი - **ირაკლი თავართქილაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის იურისტი - **ლადო კილასონია**

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის №30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
6. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის N17-66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
7. „ზოგიერთი ფიზიკური და იურიდიული პირისთვის ჯიხურების განთავსების მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით მიწის ნაკვეთების გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
8. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2018 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის განსაზღვრაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა - **გაიოზ თალაკვაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის №30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 დეკემბრის N2615 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში მეტროპოლიტენის სადგურების კაპიტალური შეკეთებისა და ვაგონების მოდერნიზებასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსების მიზნით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 14 000,0 ათასი ლარის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში ასახვის მიზნით.

ბატონმა გაიოზმა ასევე აღნიშნა, რომ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგეობებისა და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნებისა და პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში მიღებული ეკონომიების გადანაწილების შესახებ წინადადებები.

საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტის შემოსავლების ზრდისა და მოძიებული რესურსის გათვალისწინებით იზრდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

- საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია, 18 230,7 ათასი ლარით;
- დასუფთავების ღონისძიებები, 6 300,0 ათასი ლარით;
- ქალაქგაფორმებითი ღონისძიებების ასიგნებები, 340,7 ათასი ლარით;
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობის ასიგნებები, 9 000,0 ათასი ლარით
- სარეზერვო ფონდის მოცულობა, 150,0 ათასი ლარით.

მცირდება:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენის პრიორიტეტის ფარგლებში ასიგნებები - 1 655,1 ათასი ლარით;
- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრების პრიორიტეტის ფარგლებში ასიგნებები - 4 656,9 ათასი ლარით;
- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესების პრიორიტეტის ფარგლებში გამწვანების ღონისძიებების პროგრამის ასიგნებები - 211,5 ათასი ლარით;
- ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის პრიორიტეტის ფარგლებში ასიგნებები - 1 427,2 ათასი ლარით;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში ასიგნებები - 192,3 ათასი ლარით;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში ასიგნებები - 91,2 ათასი ლარით;
- განათლების პრიორიტეტის ფარგლებში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში კეთილმოწყობის სამსახურისთვის განკუთვნილი ასიგნებები - 150,0 ათასი ლარით; ინტელექტუალური საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ასიგნებები - 28,0 ათასი ლარით, ხოლო, საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა ქვეპროგრამის ასიგნებები – 979,6 ათასი ლარით.
- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობის პრიორიტეტის ფარგლებში ასიგნებები - 354,9 ათასი ლარით;

ბატონმა გაიოზ თალაკვაძემ დასძინა, რომ 2017 წლისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 125 833,9 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სასურველია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის სამართლებრივი საფუძვლების ნაწილში მიეთითოს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის კონკრეტული პუნქტი და დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

- „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:“

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, დადგენილების პროექტის სამართლებრივი საფუძვლების ნაწილში უნდა მიეთითოს აგრეთვე №30-87 დადგენილების საქართველოს საკანონმდებლო მაცნეზე განთავსების თარიღი და სარეგისტრაციო კოდი.

ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა დამატებით აღნიშნა, რომ ვინაიდან წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული არ არის დადგენილების ძალაში შესვლის თარიღი, მიზანშეწონილია, წარმოდგენილ დადგენილების პროექტში მიეთითოს ,,ნორმატიული

აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია.
შესაბამისად, წარმოდგენილი დადგენილება უნდა დაიყოს მუხლებად და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- ,,ნორმატიული აქტების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

მუხლი 1.
შეტანილ იქნეს ცვლილება ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის №30-87 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 21/12/2016, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.101.016342) და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

მუხლი 2.
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.''

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა**.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა - **სერგო ბირკაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის რეგლამენტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით.

ბატონმა სერგომ აღნიშნა, რომ ვინაიდან, ზედამხედველობის საქალაქო სამსახური მერიის სტრუქტურული ერთეულია და ახორციელებს ზედამხედველობის ფუნქციას, არსებობდა

აზრთა სხვადასხვაობა სამსახური შედის თუ არა მთავრობის შემადგენლობაში. ხოლო, მისი ხელმძღვანელი არის თუ არა მთავრობის წევრი.

იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 78-ე მუხლი ითვალისწინებს თბილისის ორგანოების საქმიანობის შიდა აუდიტს და ინსპექტირებას, რომელიც ხორციელდება „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონისა და თბილისის მერიის დებულების შესაბამისად. ხოლო, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 იანვრის N1-2 დადგენილების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური არ ახორციელებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა კონტროლს ან ზედამხედველობას. სამსახური ახორციელებს ზედამხედველობას და კონტროლს თბილისის ტერიტორიაზე მიმდინარე ყველა სახის სამშენებლო, სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოებზე. ამრიგად, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსი შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის შემადგენლობაში.

შესაბამისად, ბატონი სერგოს თქმით, ზუსტდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის შემადგენლობა და პირდაპირ განისაზღვრება, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსი არ შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის შემადგენლობაში.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სასურველია წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად მუნიციპალიტეტის საკრებულოს **ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადგენილება.**

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა - **სერგო ბირკაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის

კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიზანია, დებულების საქართველოს ორგანულ კანონთან „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისობაში მოყვანა.

ბატონმა სერგომ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილების თანახმად, ზუსტდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის შემადგენლობა და პირდაპირ განისაზღვრება, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსი არ შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის შემადგენლობაში.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სასურველია, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადგენილება.

ამასთან, **ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა** ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის პირველი მუხლის პირველი პუნქტში „მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი“-ს ნაცვლად უნდა მიეთითოს „მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტი“.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა**.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4-5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა - **მარიამ ჩივაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების

წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **და** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიზნად ისახავს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-92 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებას და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების ახალი რედაქციით დამტკიცებას.

ქალბატონმა მარიამ ჩივაძემ დასძინა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით, პროექტის პირველი მუხლის „ა“ პუნქტით მტკიცდება „დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“, რომელიც მოიცავს ძუძუს კიბოს სკრინინგს 40-70 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში, საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი 25-60 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში, პროსტატის კიბოს სკრინინგი 50-70 წლის ასაკის ჩათვლით მამაკაცებში, კოლორექტული კიბოს სკრინინგი 50-70 წლის ასაკის ჩათვლით ორივე სქესისათვის, ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვის პილოტი 25-70 წლის ასაკის ჩათვლით განმახორციელებლის მიერ დამტკიცებული კრიტერიუმების მიხედვით შესაბამისი რისკის მქონე, ასევე, ექიმი სპეციალისტის ან/და ოჯახის ექიმის მიმართვის მქონე ქალებში. 2017 წლისაგან განსხვავებით ემატება ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვის პილოტი.

მარიამ ჩივაძემ აღნიშნა, რომ პროექტის პირველი მუხლის „ბ“ პუნქტით მტკიცდება „გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“, კერძოდ განისაზღვრება ქვეპროგრამის მოსარგებლეები და ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობა. პროექტის პირველი მუხლის „გ“ პუნქტით მტკიცდება „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“, რომლითაც განისაზღვრება ქვეპროგრამის მოსარგებლეები და ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობა. აგრეთვე, პროექტის პირველი მუხლის „დ“ პუნქტით მტკიცდება „C“ ჰეპატიტის დიაგნოსტიკის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“, რომლის მოსარგებლეები არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები.

მომხსენებელმა დამატებით აღნიშნა, რომ პროექტის პირველი მუხლის „ე“ პუნქტით მტკიცდება „ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“, ხოლო, პროექტის პირველი მუხლის „ვ“ პუნქტით მტკიცდება „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესი“.

ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ პირებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს, მედიკამენტი უფინანსდებათ სრულად, თანაგადახდის გარეშე, ხოლო ყველა სხვა მოსარგებლეს მედიკამენტი უფინანსდება ამ წესით გათვალისწინებული მედიკამენტის ღირებულების ლიმიტის 80%-ის მოცულობით (თანაგადახდა შეადგენს 20%-ს), მედიკამენტი „ტრასტუზუმაბის" დაფინანსების შემთხვევაში ამ წესით გათვალისწინებით მედიკამენტის ღირებულების ლიმიტის 50%-ის მოცულობით (თანაგადახდა შეადგენს 50%-ს).

აზრი გამოთქვეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** მომხსენებლის მიმართ დასვა შეკითხვა და დაინტერესდა, იყო თუ არა შეზღუდული რეგისტრაციის ვადა ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვასთან დაკავშირებული მომსახურების მიღებამდე, მსგავსად სხვა ქვეპროგრამებისა.

საკითხის წარმომდგენმა **ქალბატონმა მარიამ ჩივაძემ** განმარტა, რომ რეგისტრაციისათვის ვადა არ იყო შეზღუდული. მომხსენებელმა დასძინა, რომ რეგიონში რეგისტრირებულ პირთათვის აღნიშნული მომსახურება დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მიერ ანაზღაურდებოდა, ხოლო სხვა მომსახურებათა მისაღებად აუცილებელი იყო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირება.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 64-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტის ნაცვლად უნდა მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 64-ე მუხლის „ა" პუნქტი, რომლის თანახმადაც, თბილისის საკუთარი უფლებამოსილებებია, ამ კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილებები.

ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა დასძინა, რომ ვინაიდან წესის მე-3 მუხლი არ ითვალისწინებს პირველ პუნქტს, საჭიროა ამოღებულ იქნას ამავე წესის მე-4 მუხლში მოხსენიებული ჩანაწერი **„პირველი პუნქტი"**. ასევე, ჩანაწერი **„ა" ქვეპუნქტი"** და **„ბ" ქვეპუნქტი"** შეიცვალოს, ხოლო მათ ნაცვლად მიეთითოს **„ა" პუნქტი"** და **„ბ" პუნქტი"**. ასევე, აღნიშნული წესის მე-5 მუხლის პირველი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტებიდან ამოღებულ იქნას ჩანაწერი **„ა" ქვეპუნქტი** და **„ბ" ქვეპუნქტი**, ხოლო, ჩანაწერი **მე-3 მუხლის „ა" ქვეპუნქტი"** და **„ბ" ქვეპუნქტი"** შეიცვალოს და მათ ნაცვლად მიეთითოს **მე-3 მუხლის „ა" პუნქტი"** და **„ბ" პუნქტი"** . წესის მე-8 მუხლში ამავე წესის მე-3 მუხლის „ბ" ქვეპუნქტის ნაცვლად მიეთითოს **„ბ პუნქტი"**.

გარდა ამისა, წესის მე-9 მუხლის, მე-2 პუნქტიდან ამოღებულ უნდა იქნას ჩანაწერი **„პირველი პუნქტი"**

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვინაიდან, ზემოაღნიშნული წესის მე-3 მუხლის სათაური და შინაარსი ითვალისწინებს **„ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობას"** ამავე წესის მე-2 მუხლის სათაურიდან ამოღებულ უნდა იქნას წინადადება

„ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობა“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- „მუხლი 2. ქვეპროგრამის მოსარგებლეები.“

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, მომხსენებელმა განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი მიზნად ისახავს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №33-130 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებას და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების ახალი რედაქციით დამტკიცებას.

ქალბატონმა მარიამ ჩივაძემ დასძინა, რომ პროექტის პირველი მუხლის „ა“ პუნქტით მტკიცდება „სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარების“ (კოდი: 06 02 25) და „სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მე-3, მე-4, მე-5 და მეტი შვილის დაბადებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების“ (კოდი: 06 02 03) ქვეპროგრამების განხორციელების წესი”, რომლითაც განისაზღვრება ქვეპროგრამაში ჩართვის კრიტერიუმები და ანგარიშგების ფორმა. პროექტით იცვლება მომსახურე ბანკი, რაც იწვევს დახმარების გაცემის პროცედურის შეცვლას, კერძოდ აღარ მოწმდება ქვეპროგრამის მოსარგებლის დახმარების გაცემის წინა თვის მდგომარეობა, არამედ მხოლოდ - მიმდინარე პერიოდი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ პროექტის პირველი მუხლის „ბ“ პუნქტით მტკიცდება „100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარების“ ქვეპროგრამის (კოდი: 06 02 05) განხორციელების წესი“, რომლითაც განისაზღვრება ქვეპროგრამის მოსარგებლეების კატეგორიები, ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარების მოცულობა და ანგარიშგების პირობები. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 წლის და მეტი ასაკის პირები, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტირებული 100 წლის და მეტი ასაკის იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ - ქალაქი თბილისი. ფულადი დახმარება განისაზღვრება 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

ქალბატონმა მარიამმა აღნიშნა, რომ პროექტის პირველი მუხლის „გ“ პუნქტით მტკიცდება „სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარების“ ქვეპროგრამის (კოდი: 06 02 02) განხორციელების წესი.

მომხსენებელმა დამატებით განმარტა, რომ პროექტის პირველი მუხლის „დ“ პუნქტით მტკიცდება „სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარების (კოდი: 06 02 22) და სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარების“ ქვეპროგრამების (კოდი: 06 02 24) განხორციელების წესი”.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 64-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის ნაცვლად უნდა მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 64-ე მუხლის „ა“ პუნქტი, რომლის თანახმადაც, თბილისის საკუთარი უფლებამოსილებებია, ამ კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილებები.

ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა ასევე დასძინა, რომ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას გააჩნია შენიშვნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტის პირველი მუხლის „ზ“ პუნქტით გათვალისწინებულ „შინმოვლის თანადაფინანსების“ (კოდი: 06 02 26) ქვეპროგრამის განხორციელების წესთან (დანართი N7) მიმართებით. კერძოდ, წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში საჭიროა ჩაემატოს სიტყვები „ამ წესის“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

*„2. ქვეპროგრამის განმახორციელებელი, მოსარგებლის შესახებ ინფორმაციას, ელექტრონული მოდულის საშუალებით, უგზავნის შემფასებელს, რომელიც არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა ახორციელებს ქვეპროგრამით მოსარგებლის შეფასებას **ამ წესის** მეორე მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ქვეპუნქტის შესაბამისად და ქვეპროგრამის ელექტრონულ მოდულში განათავსებს შეფასების შესაბამის ფორმას (დანართი N7-1).“*

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილებების პროექტებთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა**.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილებების პროექტებს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - **ირაკლი თავართქილაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის N17-66

დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

საკითხის წარმომდგენმა განმარტა, რომ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის №17-66 დადგენილების შესაბამისად, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) დახმარება ხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 - 2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული შესაბამისი პროგრამებიდან. დღეისათვის დაზარალებულ პირთა დახმარება კვლავ მიმდინარეობს და ამ ეტაპზე პროცესი არ დასრულებულა, რადგან კონკრეტულ შემთხვევებში დახმარების გაცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება გულისხმობს მოცულობითი დოკუმენტაციის უფლებამოსილი ორგანოებისათვის წარდგენას, მათ შეფასებას, გარემოებათა გამოკვლევას და გადაწყვეტილებების მიღებას, რაც დაკავშირებულია ხანგრძლივ დროსთან. ამასთან, ვინაიდან 2017 წლის ბიუჯეტის შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული თანხის ამოწურვის შედეგად შეფერხდა აღნიშნული პროცედურები, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული დაზარალებულთა დახმარების განხორციელება 2018 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

ბატონმა ირაკლიმ აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დღის წესრიგში დადგა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №17-66 დადგენილებასა და დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის“ შესაბამის მუხლებში სათანადო ცვლილებების განხორციელება.

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ასევე დასძინა, რომ წარმოდგენილი პროექტით ცვლილებები შედის „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის №17-66 დადგენილების პრეამბულაში, ასევე დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის“ (დანართი №1) პირველი მუხლის პირველ, მე-3 და მე-3[1] პუნქტებში, ასევე მე-6 მუხლის მე-6 პუნქტში.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს დადგენილების პროექტის პრეამბულაში სამართლებრივ საფუძვლად საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის მითითებას.

ლევან ჟორჟოლიანმა დასძინა, რომ უნდა გამოსწორდეს წარმოდგენილი დადგენილების პროექტის პირველ მუხლში არსებული ტექნიკური ხარვეზი და პირველი მუხლის შესავალი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის N17-66 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 06.07.2015, სარეგისტრაციო კოდი: 010260050.35.101.016179) შევიდეს შემდეგი ცვლილებები: „

ამასთან, **ბატონმა ლევანმა** დამატებით აღნიშნა, რომ ტექნიკური თვალსაზრისით უფრო მიზანშეწონილი იქნება, წარმოდგენილი პროექტის პირველი მუხლის პირველი პუნქტით ჩამოყალიბებულ პრეამბულაში სამართლებრივ საფუძვლად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015, 2016 და 2017 წლების ბიუჯეტების დამტკიცების შესახებ შესაბამისი დადგენილებების ნაცვლად, მხოლოდ ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილების მითითება.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - **ირაკლი თავართქილაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ზოგიერთი ფიზიკური და იურიდიული პირისთვის ჯიხურების განთავსების მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით მიწის ნაკვეთების გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის პროექტის ფარგლებში - სავაჭრო ჯიხურების განთავსებასთან დაკავშირებით 2011-2012

წლებში ქალაქ თბილისში გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს სარგებლობის უფლება დაუმთავრდათ 2016-2017 წლებში.

მომხსენებელმა განმარტა, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის მიზნით დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2014 წლის 3 სექტემბრის №05.06.34 განკარგულების საფუძველზე შექმნილი კომისიის 2016 წლის 14 დეკემბრის სხდომის №10 ოქმის მიხედვით, კომისიამ მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით, მიზანშეწონილად მიიჩნია მოიჯარეებისთვის, მათი სურვილის შემთხვევაში, პირდაპირი განკარგვის წესით, 1 (ერთი) წლის ვადით სარგებლობის უფლებით აუქციონების შედეგად დადგენილი წლიური სარგებლობის საფასურის უცვლელად, იჯარის ფორმით დაკავებული მიწის ნაკვეთის გადაცემა.

ბატონი ირაკლის განმარტებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტომ მოიჯარეებს გაუგზავნა წერილობითი შეტყობინება (ოფერტი) ზემოხსენებული ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის პირობების შეთავაზებით და იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან დაკავშირებით, რომლებმაც შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში განაცხადეს შეთავაზებაზე თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით გამოსცა აქტები, ამ პირთათვის დანართით გათვალისწინებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, აუქციონების შედეგად დადგენილი წლიური სარგებლობის საფასურის უცვლელად, 1 (ერთი) წლის ვადით გადაცემის თაობაზე, მაგრამ არაუმეტეს 2017 წლის 31 დეკემბრისა.

ამასთან, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ მცირე ბიზნესისთვის ჯიხურების თემის აქტუალურობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიიჩნია სარგებლობის უფლების ვადის გაგრძელება 3 (სამი) თვის ვადით, მაგრამ არაუმეტეს 2018 წლის 31 მარტისა.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის სამართლებრივი საფუძვლების ნაწილში მითითებულ უნდა იქნეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა**.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. სხდომის თავმჯდომარემ - ბატონმა **ლევან ჟორჟოლიანმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2018 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის **N2-1** დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისათვის ყოველწლიურად გამოიყოფა შრომითი ხელშეკრულებით პირთა ასაყვანად წლიური სახელფასო ლიმიტი, რომელიც მტკიცდება საკრებულოს განკარგულებით.

შესაბამისად, ბატონმა ლევანმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტით ძალადაკარგულად ცხადდება ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2017 წელს შტატგარეშე მოსამსახურეების ხელშეკრულებით ასაყვანად წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის **N440** განკარგულება.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის იურისტმა - **ლადო კილასონიამ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის განსაზღვრაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის

მიცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

საკითხის წარმომდგენმა განმარტა, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის განსაზღვრასთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემას.

ბატონმა ლადო კოლასონიამ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების, წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება - ტრანსპორტირების და მისი გაუვნებლობის მომსახურების ორგანიზებას უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული იურიდიული პირი შპს „თბილსერვის ჯგუფი“. ხოლო, აღნიშნული მომსახურება მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავებას; წარმოქმნილი მყარი ნარჩენების შეგროვება-ტრანსპორტირებას; ნარჩენების გაუვნებლობასა და ნარჩენების განთავსების საბოლოო ადგილების მართვას, თოვლცვენის დროს ქუჩებსა და მოედნებზე მარილის მოყრას;
- დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვა-ამოღების ორგანიზებას; მონაცემთა ბაზების დროულ განახლებას; დარიცხული მოსაკრებლის კორექტირებას და მონაცემთა ბაზაში აღრიცხვას;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-46 დადგენილების ამოქმედების დღიდან, დადგენილი წესით, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის დავალიანების განწილვადებას;
- დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან, ინდივიდუალურ მეწარმეებთან, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ქ. თბილისის მოსახლეობისათვის დედაქალაქის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ტარიფის დავალიანების განწილვადებას არაუგვიანეს 2018 წლის 31 დეკემბრისა.
- დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურების ტარიფის დავალიანების თანხაში დაწესებულებების, ორგანიზაციების, ინდივიდუალური მეწარმეების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ გადასახდელი ტარიფის უზუსტობის შემთხვევაში დაზუსტებული ოდენობის განსაზღვრას შესაბამისი სუბიექტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე;

მომხსენებელმა ასევე, აღნიშნა, რომ განკარგულების თანახმად, დაწესებულებების, ორგანიზაციების, ინდივიდუალური მეწარმეების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურების ტარიფის დავალიანების ჩარიცხვა განხორციელდება შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს ანგარიშზე.

აზრი გამოთქვეს:

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ - ბატონმა **გიორგი ჩაკვეტაძემ** მომხსენებლის მიმართ დასვა შეკითხვა და დაინტერესდა, ახორციელებს თუ არა შესაბამისი რაიონის გამგეობა სკვერებისა და სკვერებთან არსებული ქუჩების დაგვა-დასუფთავებას.

ბატონმა ლადო კილასონიამ განმარტა, რომ კომპეტენციები არის გაყოფილი. კერძოდ, ცენტრალური და შიდა კვარტალური გზების მოწესრიგებას, მხოლოდ ინფრასტრუქტურის მოწყობის ფარგლებში ახორციელებს გამგეობა, ხოლო, დაგვა-დასუფთავებას მთლიანად უზრუნველყოფს მხოლოდ შპს „თბილსერვის ჯგუფი".

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ - ქალბატონმა **თინათინ ნიბლოშვილმა** მომხსენებლის მიმართ დასვა შეკითხვა და დაინტერესდა ჰყავს თუ არა ხსენებული სამუშაოსთვის საკმარისი ადამიანური რესურსი შპს „თბილსერვის ჯგუფს".

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შესაბამისი ადამიანური რესურსი არსებობს, თუმცა მატერიალური კუთხით, არსებულ წელს არის მხოლოდ დოტაციური ხარჯვა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ განკარგულების პრეამბულაში სამართლებრივ საფუძვლად უნდა მიეთითოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-46 დადგენილებით დამტკიცებული „დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის" (დანართი 3) პირველი მუხლის მე-2 პუნქტი, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტი, მე-5 და მე-6 პუნქტები.

ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა დასძინა, რომ სასურველია, განკარგულების სამართლებრივი საფუძვლების ნაწილში მითითებულ იქნეს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ" და „ზ" ქვეპუნქტები.

სხდომის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტი უნდა დაზუსტდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქუჩების, მოედნების, შიდა კვარტალური ტერიტორიების, სკვერებისა და პარკების დაგვა-დასუფთავება; მოსახლეობის, ორგანიზაციების, დაწესებულებების, ინდივიდუალური მეწარმეებისა და იურიდიული პირების მიერ წარმოქმნილი მყარი (საყოფაცხოვრებო) ნარჩენების შეგროვება-ტრანსპორტირება, ნაგავსაყრელ პოლიგონზე ნარჩენების განთავსება და გაუვნებლობა; ნარჩენების განთავსების საბოლოო ადგილების მართვა, თოვლცვენის დროს ქუჩებსა და მოედნებზე მარილის მოყრა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 21 დეკემბრის N48.03.961 განკარგულების დანართის შესაბამისად;"

ასევე, ტექნიკურად უნდა გაიმართოს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მე-2 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- ,,2. დაწესებულებების, ორგანიზაციების, ინდივიდუალური მეწარმეების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების

მართვის მომსახურების ტარიფის (საფასურის) დავალიანების ჩარიცხვა განხორციელდეს შპს „თბილსერვის ჯგუფის“ (ს/კ: 206267494) ანგარიშზე.“

ამასთან, სასურველია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მე-3 პუნქტად განისაზღვროს მომსახურების გაწევის ვადა შემდეგი სახით:

- „3. მომსახურების გაწევის ვადა განისაზღვროს ყოველდღიურად, 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;“

შესაბამისად, ამავე განკარგულების მე-3 პუნქტი უნდა განისაზღვროს მე-4 პუნქტად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანი

სხდომის მდივანი თინათინ კასრაძე